სვერდლოვსკი. 21 ოქტომბერი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

“ავანგარდის” სტადიონზე ადგილობრივმა ოფიცერთა სახლის გუნდმა მიიღო თბილისის “დინამო”.

დინამოელებს ძირითადი შემადგენლობიდან აკლდათ მესხი. გარდა ამისა, ჯერ კიდევ მატჩის დასაწყისში, მე–5 წუთზე სვერდლოვსკელთა მცველების უხეში თამაშის შედეგად მძიმე ტრავმა მიიღო ჭკუასელმა და “დინამო” 85 წუთის განმავლობაში თამაშობდა 10 კაცის შემადგენლობით.

ანგარიში გახსნა არმიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბუზუნოვმა. მალე მანვე მეორე ბურთი გაგზავნა სტუმრების კარში.

თბილისელებმა გააძლიერეს თამაში და ტაიმის დასასრულამდე ანგარიში გათანაბრებულ იქნა (პირველი გოლი თავის კარში გაიტანა მასპინძელთა ერთ–ერთმა მცველმა).

შესვენების შემდეგ იმავე ბუზუნოვმა ორჯერ წარმატებით დაამთავრა თავისი გუნდის იერიში და მატჩი დამთავრდა სვერდლოვსკის ოფიცერთა გუნდის სასარგებლოდ ანგარიშით 4:2.

“ლელო”, 24 ოქტომბერი, 1956 წ.